

N	გვარი, სახელი	პერიოდი	რეპრესიის ფორმა	პოლიტიკური მოტივაცია	ქვეყანა
2	მარტიაშვილი დავით	1994-1995	1994 წელს დააპატიმრა უშიშროების სამსახურმა კონსტიტუციური ხელისუფლების დამოზობის მცდელობის ბრალდებით (მუხლი ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას). საპატიმრო დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა წამებას (როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიკურად). 1995 წელს გაათავისუფლეს.	1992 წლიდან იყო ეროვნული გვარდიის თელავის ბატალიონის მეთაური. 1993 წელს დაადანაშაულა პრეზიდენტი შევარდნაძე აფხაზეთის ომში დამარცხებში გამო.	ავსტრია
		2006-2007	დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების შენახვის ბრალდებით და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, პარალელურად დე-ფაქტო ჩამოერთვა ბიზნესი.		
		2012-2013	2013 წლის ზაფხულში თავს დაესხა ჯგუფი და მიაყენა მიმიე დაზიანებები . პოლიციამ საქმე აღძრა მსუბუქი ბრალდებით - ხულიგნობა.	2012 წლის 17 ოქტომბერს (ხელისფლების ცვლილების შემდეგ) მარტიაშვილის მოთხოვნით პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე „თანამდებობის ბოროტად გამოყენების საფუძველით“.	
1	ნემსაძე დავით	2008 - 2011	ნემსაძე დათხოვილ იქნა სამხედრო სამსახურიდან.	ზ/ა პერიოდში მსახურობდა შეიარაღებულ ძალებში (სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერი). ხელმძღვანელობასთან ურთიერთობები დაიძაბა 2008 წლის ომის შემდეგ. კერძოდ, ნემსაძემ უარი განაცხადა საზენიტო-სარაკეტო კომპლექს "ზუკ M1"-ის დაკარგვის ყალბი ცნობის შედგენაზე. ზ/ა პერიოდში სამხედრო ხელმძღვანელობა ცდილობდა გაეთეთრებინა ომის დროს დაკარგული სამხედრო ქონება და შეიარაღება, რის გამოც პერმანენტულად ნემსაძე კონფლიქტში შედიოდა საჰაერო ძალების მამინდელ ხელმძღვანელობასთან (მერაბ ურიდია, ზურაბ ფოჩუა, თემურ შენგელია).	საფრანგეთი
		2011-2012	2012 წლის 22 ივნისს გადაიყვანეს კადრების განკარგულებაში (ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე), შემდეგ კი დაითხოვეს და აიძულეს დედაქალაქის დატოვება. პერიოდულად ხორციელდებოდა მუქარა ნემსაძის ოჯახის მისამართით.	2011 წლის 26 აპრილს აღადგინეს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარ სამმართველოში. ამ პერიოდში მოიკვლია ომის დროს საზენიტო-სარაკეტო ნაწილში N 22690 ჩადენილი დანაშაულებები. მოკვლევის შედეგები გააცნეს იმდროინდელ მინისტრს - ზ. ახალაიას, რითაც ის დარჩა უკმაყოფილო, ვინაიდან საჰაერო თავდაცვის ხელმძღვანელები: მერაბ ურიდია, თემურ შენგელია , ზურაბ ფოჩუა იყვნენ მისი მამის -როლანდ ახალაიას მეგობრები.	

N	გვარი, სახელი	პერიოდი	რეპრესიის ფორმა	პოლიტიკური მოტივაცია	ქვეყანა
		2013-2016	<p>2016 წლის მარტში მინისტრმა ხიდაშელმა დაითხოვა შეიარაღებული ძალებიდან, ვინაიდან თვლიდა, რომ ნემსაძის მიერ ადამიანთა უფლებების დაცვა და წამების ფაქტების გასაჯაროება წარმოადგენდა თავდაცვის სამინისტროს იმიჯის შელახვას. თავდაცვის სამინისტროდან დათხოვნის ფორმალური მიზეზი გახდა სოც- ქსელ „ფეისბუქში“ კრიტიკული პოსტის გაზიარება.</p>	<p>2013 წლის 7 დეკემბერს (ხელისუფლების ცვლილების შემდეგ) დაინიშნა შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზაზე, სადაც მომსწრე გახდა ჯარისკაცების წამების, თვითმკვლელობამდე მიყვანის, აგრეთვე კორუფციის, სამხედრო ქონების დაზიანებისა და საბოტაჟის. ასევე აღნიშნულ სამხედრო ბაზაზე ამხილა საყარაულო შენობაში მცირეწლოვანი ბავშვების შეტყუების და წამების ფაქტი. აღნიშნული დანაშაულის დეტალები ასახა წერილობით პატაკებში სამხედრო ბაზის მეთაურის - ილია ლუტიძის მიმართ (პატაკის ნომრები: N1666, N1673, N1745, N1821). გამოძიება დაიწყო, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც მაშინდელი მინისტრის - ხიდაშელის ჩარევით შეწყდა. აღნიშნულ ბაზაზე, თვითმკვლელობას გაარჩინა რიგითი ჯარისკაცი ე.კ. რადგან მას ხელმძღვანელი პირები აწამებდნენ და ამცირებდნენ. რიგითმა ე.კ-მ აღნიშნული ფაქტები ნემსაძის დახმარებით, აცნობა სახალხო დამცველს 27/02/2016, განცხადების N 12516/16.</p>	
		2017-2019	<p>საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა (ყოფილი სამხედრო მოსამსახურის - გოდერძი ორმოცაძის მეშვეობით) მოითხოვა ნემსაძისგან შეეწყვიტა მისი და თავდაცვის მაშინდელი მინისტრის ლევან იზორიას და ზოგადად თავდაცვის სისტემის კრიტიკა. ნემსაძის უარის შემდეგ 2019 წლის 9 აპრილს, ქ. თბილისში, „ილიას ბაღში“ მდებარე სპორტ-დარბაზ „ურბან გარდენში“ მას ჯგუფურად, ცივი იარაღის გამოყენებით თავს დაესხა ორგანიზებული ჯგუფი. თავდასხმას წინ უსწრებდა მუქარები სიცოცხლის მოსპობის შესახებ და მუქარები ოჯახის წევრების მიმართ. მოცემულთან დაკავშირებით ორი მუხლით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე (N 006090419009). რეალურად პროკურატურა არ აგროვდება მამხილებელ მტკიცებულებებს, ხოლო ოპერატიული სამსახურების და თავად თავდამსხმელების მხრიდან პერმანენტულად გრძელდებოდა მუქარა. 2019/12/18 საქმეზე ერთადერთი ბრალდებული გაათავისუფლეს.</p>	<p>2017 წლის 17 მარტს დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის ჯგუფი“ (N 412725591). მათი ინიციატივით 2018 წლის 20 აპრილს ხელმოკრულ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ნომრით N 074200418801, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე. გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა ნემსაძის მიერ ჩაწერილი ინტერვიუ, სადაც სამხედრო ბაზაზე ნაწამები ბავშვები იუწყებოდნენ, მათ მიმართ ჩადენილი სისასტიკის შესახებ და სამხედრო პოლიციის თანამშრომლის მხრიდან ფაქტის დამალვის თაობაზე. ორგანიზაციამ გამოავლინა და გაასაჯაროვა სხვადასხვა დარღვევა და დანაშაული თავდაცვის სამინისტროსთან მიმართებაში.</p>	

N	გვარი, სახელი	პერიოდი	რეპრესიის ფორმა	პოლიტიკური მოტივაცია	ქვეყანა
	ფარცვანია გრიგოლი	2008-2011	2008 წელს გრიგოლ ფარცვანია დააპატიმრეს სისხლის სამართლის კოდექსის 389-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - "დეზერტირობა" (1 წლით თავისუფლების აღკვეთა და 4 წელი პირობითი მსჯავრი). კერძოდ, ბრალდების მიხედვით, ფარცვანიამ მიატოვა სამხედრო ნაწილი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს. თუმცა, რეალურად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამხედრო მოქმედებების პირობებში თავად სარდლობამ მიატოვა შეიარაღებული ძალები და მისი ცალკეული მოსამსახურეები გამოწვეული იქნენ სამედრო მოქმედებათა არეალიდან. განაჩენის მიხედვით, დეზერტირობა გამოხატული იყო, ომის პერიოდში, დასავლეთ საქართველოში გაქცევით, თუმცა ჩვენებაში მითითებულ დროს დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი გადაკეტილი იყო და შეუძლებელი იყო გადასვლა.		
4	ხაჭაპურიძე თამარ	2012-2017	2016 წლის 27 აგვისტოს დააპატიმრეს თამარ ხაჭაპურიძე სსკ 365-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რაც გულისხმობდა მოსამართლის მიმართ მუქარას. თუმცა, რეალურად, "მუქარას" ადგილი ჰქონდა პლიაჟზე, მას შემდეგ, რაც თამარ ხაჭაპურიძემ გიორგი მიქაუტაძის მიერ ფიზიკურად დაზიანებული შვილი დიანახა, და არა სასამართლო პროცესზე. მასთან ერთად დააკავეს მისი მეუღლეც, რათა ჯგუფურობის საფუძველზე, დაემძიმებინათ ბრალი. თამარ ხაჭაპურიძე 25 დღე იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში. პატიმრობის შემდეგ აღმკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 15 000 ლარი. საბოლოოდ სასამართლომ შეცვალა ბრალის კვალიფიკაცია, თამარ ხაჭაპურიძე გაასამართლა 239-ე მუხლით (ხულიგნობა) და დააჯარიმა 3 000 ლარით.	სხვადასხვა ტელევიზიების, გაზეთების, სოციალური ქსელისა და დოკუმენტური ფილმების მეშვეობით აკრიტიკებდა მმართველ პარტიას, მის პირველ პირებს. 2015 წელს პარლამენტის ტრიბუნლიდან გააკრიტიკა ირაკლი შოთაძე, რომელიც იმ დღეს არჩეულ იქნა მთავარ პროკურორად. 2015 წელს თამარ ხაჭაპურიძემ გააკრიტიკა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი მიქაუტაძე.	დიდი ბრიტანეთი. პოლიტდეცინილის სტატუსი მიენიჭა 2018 წელს.

ამ დოკუმენტში თავმოყრილია მონაცემები იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც იდევნებიან სხვადასხვა ფორმით პოლიტიკური მოტივაციით საქართველოს ხელისუფლების მიერ.

N	გვარი, სახელი	პერიოდი	რეპრესიის ფორმა	პოლიტიკური მოტივაცია	ქვეყანა
5	ხაჩიძე კახაბერ	2014-2017	<p>2016 წლის 27 აგვისტოს კახაბერ ხაჩიძე, რომელიც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილეა, დააპატიმრეს, მის მეუღლესთან - თამარ ხაჭაპურიძესთან ერთად. გონიოს პლაჟზე გიორგი მიქაუტაძესა (ყოფილი მოსამართლე) და თამარ ხაჭაპურიძეს შორის მოხდა დაპირისპირება, თუმცა კახაბერ ხაჩიძე არ აპყვა პროვოკაციას, რაც აუდიო-ვიდეო მასალითაც დასტურდება, მაგრამ პროკურატურამ კახაბერ ხაჩიძესაც წაუყენა ბრალი სსკ 365-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რაც გულისხმობდა მოსამართლის მიმართ მუქარას ჯგუფურად. კახაბერ ხაჩიძე წინასწარი პატიმრობაში იმყოფებოდა 5 დღე, გაათავისუფლეს 30 000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ. 2018 წელს სასამართლომ კახაბერ ხაჩიძეს და თამარ ხაჭაპურიძეს მოუხსნა სსკ 365-ე მუხლით წაყენებულ ბრალი, თუმცა მათი სრული გამართლება არ მომხდარა, აღნიშნული მოქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ს 239-ე მუხლით (ხულიგნობა) და კახაბერ ხაჩიძე დაჯარიმდა 2500 ლარით.</p>	<p>2014-2015 წლებში მის მეუღლე თამარ ხაჭაპურიძესთან ერთად ორგანიზებას უწევდა მთავარი პროკურატურის წინ აქციას, კერძოდ კახაბერ ხაჩიძის კუთვნილი ერთ-ერთი მანქანა თვეების განმავლობაში დაყენებული იყო პროკურატურის შენობის შესასვლელთან მასზე დამაგრებული ბანერითა და საპროტესტო წარწერით, საკითხი ეხებოდა ბავშვთა უფლებების დაცვას, გაჭიანურებულ გამოძიებას ე.წ. "ჩვილების საქმეზე". თუმცა კახაბერ ხაჩიძისთვის ბრალის წარდგენის ძირითადი მიზანი იყო თამარ ხაჭაპურიძისთვის ბრალის დამძიმება ჯგუფურობის კვალიფიკაციით, რადგან წარდგენილი ბრალი თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ ამ შემთხვევაში ითვალისწინებდა.</p>	<p>დიდი ბრიტანეთი, პოლიტდევნილის სტატუსი მინიჭებულია 2018 წელს.</p>